თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8078177

ნომერი: AR11158427

თარიღი : 27.08.2026

გაცემის თარიღი : 10.09.2026

გაცნობის თარიღი : 14.09.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N72 , კორპუსი N5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა დანელიშვილი პ/ნ 13001027041
- გურჯაანი თამარ მეფის ქ. N 10

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 19 აგვისტოს №854877 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 27 აგვისტოს №AR11158427 განცხადებით მომართა ბექა დანელიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2013 წლის

19 აგვისტოს №854877 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2013 წლის 19 აგვისტოს №854877 ბრძანებით, №01.19.36.014.482 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა ოლიმპიური სოფლის საცხოვრებელი კორპუსის (გრგ-ს მიხედვით A სექტორის კორპუსი №5) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

სამსახურის 2014 წლის 7 ივლისის №1351978 ბრძანებით, შევიდა ცვლილება 2013 წლის 19 აგვისტოს №854877 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ, საერთო ფართობად დაფიქსირდა - 7404.2 კვ.მ, საზაფხულო ფართობად - 625.6 კვ.მ, მანსარდის ფართობად -508.2 კვ.მ.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2013 წლის 19 აგვისტოს №854877 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან და „სარდაფის გეგმაზე“ ნუმერაცის დაზუსტებასთან დაკავშირებით. ამასთან, ითხოვს საერთო ფართობად -7404.2 კვ.მ-ის ნაცვლად - 7404.5 კვ.მ-ის; საზაფხულო ფართობად - 625.6 კვ.მ-ის ნაცვლად - 624.0 კვ.მ-ის; მანსარდის ფართობად 508.2-კვ.მ-ის ნაცვლად 510.1 კვ.მ-ის დაფიქსირებას. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, ფართობების არასწორი დაჯამების გამო. რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან დგინდება, რომ წარმოდგენილი სარდაფის გეგმა არ იცვლება, ხდება მხოლოდ ფართობების და ნუმერაციის დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 19 აგვისტოს №854877 ბრძანებაში ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 19 აგვისტოს №854877 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და საერთო ფართობი დაფიქსირდეს - 7404.5 კვ.მ.; საზაფხულო ფართობი - 624.0 კვ.მ.; მანსარდის ფართობი - 510.1 კვ.მ.

2. სამსახურის 2013 წლის 19 აგვისტოს №854877 ბრძანებით შეთანხმებული სარდაფის სართულის გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გასწორებული გეგმით.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 19 აგვისტოს №854877 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 19 აგვისტოს №854877 და 2014 წლის 7 ივლისის №1351978 ბრძანებებთან ერთად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.